პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივლისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 127 (9538) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გუშინ...

● **საქართველოს** [illegible] ების სამინისტროში [illegible] სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების [illegible] დების [illegible] მორიგი სხდომა. იმსჯელეს მძლეოსანთა [illegible] ნა [illegible] შედეგებზე. გუშინვე შტაბის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ ნაკრები გუნდის წევრებს და მათ მწვრთნელებს.

• • •

● **საქართველოს** სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩატარების ხელმძღვანელი შტაბის სხდომა. განიხილეს თამაშებისთვის რესპუბლიკის სპორტული ბაზების მზადყოფნის, აგრეთვე სპორტული დელეგაციების მასპინძლობის, მომსახურე პერსონალისა და ჟურნალისტების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ წყალსადაწნეო კოშკმა იოშკარ-ოლაში თავისი დრო უკვე მოკვამა. ალბათ ამიტომაც მას თვალი დაადგეს ადგილობრივმა ალპინისტებმა და მეელდეურებმა. უკეთეს სავარჯიშო ადგილს დაბლობი რაიონის მთამსვლელები ვერც ინატრებდნენ. ახლა ამ კოშკის ვერტიკალურ კედლებზე რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებებიც იმართება.

მედიცინასთან კავშირში

ფიზიკური კულტურა და თანამედროვე სპორტი მეცნიერების სხვადასხვა დარგთან ურთიერთკავშირში ვი თარდება, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ დარგებიდან მასთან ყველაზე ახლოს მაინც მედიცინა დგას. ცხადია, სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ ჯანმრთელობა, ფიზიკური კულტურა და სპორტი ერთი აზრის, ერთი კატეგორიის ცნებებადაა მიჩნეული.

ფიზიკური კულტურა სიმხნევისა და დღეგრძელობის უებარი წამალი მაშინ არის, როცა მისი „დოზა“ ზუსტად იმდენია, რამდენსაც ჩვენი ორგანიზმი, თითოეული ინდივიდის ფიზიკური შესაძლებლობები მოითხოვს. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მთელი სამედიცინო სფერო მზად არის გვემსახუროს. ბოლო წლებში, ყველამ კარგად იცის, ჩვენს რესპუბლიკაშიც როგორ გაფართოვდა ფიზკულტურისა და სპორტის დისპანსერების ქსელი. ახლა ეს დაწესებულებები კვირაში ექვს დღეს ემსახურებიან მოსახლეობას. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს ხელმძღვანელობა დღეს ყველაფერს აკეთებს, რათა უფრო ახლო და საქმიანი კონტაქტი დაამყაროს ჩვენს ფიზკულტურელებთან და სპორტსმენებთან. ამ დაახლოების გზაზე უკვე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ნაბიჯებიც გადაიდგა, ისეთი, როგორც დიდხანს მხოლოდ ოცნებად რჩებოდა.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის მზადების პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ჯანმრთელობის მუშაკების თანადგომა და დაინტერესება, ფაქტიურად სპორტისა და მედიცინის ურთიერთობა უკვე მწყობრ სისტემად ყალიბდება, რაც ესოდენ საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო წინსვლისთვის.

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მჭიდრო კავშირი მედიცინასთან თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი აუცილებლობაა. ამგვარი ურთიერთობა ცალმხრივი არ არის, მით უფრო, რომ საქმე ეხება ადამიანების ჯანმრთელობას, მათ კეთილდღეობას — ეს კი ორივე სფეროსთვის უმთავრესი ამოცანაა.

დაჯილდოება

სამამულო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი დიმიტრის ძე ჩოხელი დააჯილდოვა ხაპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო მედლით.

ტელეტაიპი — მკითხველი

● **სან-ჰოსე.** კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში გამართულ აშშ-ს მძლეოსანთა ჩემპიონატში თავი გამოიჩინა ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარლ ლუისმა. მან მოიგო 200 მეტრზე რბენა — 20,12 და სიგრძეზე ხტომა — 865 სმ. მეორე იყო 100-მეტრიან დისტანციაზე — 10,05. ნაჩვენები იქნა სხვა მაღალი შედეგებიც, რომელთაგან უნდა გამოვყოთ მაიკ კონლის მაჩვენებელი სამხტომში — 17 მ. 87 სმ.

● **ტალინი.** ადგილობრივი ველოტრეკის რეკორდი 200 მეტრზე რბოლაში (სვლით) — 11,1 ხარკოველმა სერგეი კრავცოვმა ზუსტად ჩვიდმეტი წლის წინ დაამყარა. და აი, ამ დღეებში ეს „ხანდაზმული“ რეკორდი დაემხო: „ტალინის დიდი პრიზის“ გათამაშებაში აშხაბადელმა ვლადიმერ სულთანოვმა აღნიშნული დისტანცია 10,99-ში დაფარა. სხვათა შორის, კრავცოვის რეკორდებს ამ დღე ბედი მართლაც არ წყალობდა. გიტში 1000 მეტრზე მისი სარეკორდო მაჩვენებელი (1.07,7) სუმელმა ალექსანდრე კირიჩენკომ გაუუმჯობესა — 1.05,886.

● **მოსკოვი.** აქ დაიწყო ბეისბოლისტთა საკავშირო ტურნირი ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟის“ პრიზზე. მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში ასპარეზობენ: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, ხაბაროვსკის, ლენინგრადისა და ტაშკენტის გუნდები, მეორეში — უკრაინის, ესტონეთის, მხიტ-ისა და კრასნოიარსკ-ირკუტსკის მოთამაშეთაგან შემდგარი კოლექტივი.

გაიმართა პირველი შეხვედრა, რომელშიც საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებმა მინიმალური უპირატესობით დაამარცხეს ხაბაროვსკელი ბეისბოლისტებ[illegible] 15:14.

ბიბლიოთეკა

სიახლეთა ესტაფეტა

სამარყანდში დაიწყეს ასაწყობი საბავშვო აუზის გამოშვება. აუზები გათვალისწინებულია საბავშვო ბაღებისათვის. აუზის სიგრძეა 9 მეტრი. მისი აწყობა შეიძლება ნახევარ საათში.

აზერბაიჯანის უმაღლესმა საასწავლებლებმა გადაწყვიტეს 1987 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით ჩაატარონ მასობრივი შეჯიბრებები მძლეოსნურ ესტაფეტებში.

უკანასკნელი სიმაღლე

უიმბლდონის ტურნირში საბჭოთა ჩოგბურთელთაგან წარმატებით ასპარეზობს ქალთა წყვილი (მოსკოველი სვეტლანა პარხომენკო და ლვოველი ლარისა სავჩენკო), რომელმაც მესამე წრეში ენ ჰობს (ინგლისი) — კენდი რეინოლდსის (აშშ) დუეტი ორ პარტიაში დაამარცხა — 6:0, 6:3.

პირად შეჯიბრებაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგეს. 16 წლის მინსკელი ნატალია ზვერევა (მსოფლიო კლასიფიკაციაში 53-ე ადგილი) დაძაბულ ბრძოლაში 17 წლის არგენტინელმა გაბრიელე საბატინიმ დაამარცხა — 6:0, 2:6, 6:4.

მერვედფინალი უკანასკნელი სიმაღლე აღმოჩნდა 20 წლის კალინინგრადელი ჩოგბურთელის ალექსანდრე ვოლკოვისთვისაც. დაძაბულ ოთხსეტიან ბრძოლაში მას შვედმა ანდერს იარიდმა აჯობა — 7:6, 7:5, 6:7, 6:4.

პიონერული ზაფხული-87



დაიწყო ზაფხულის არდადეგები და მდინარე თეზმის ულამაზეს ხეობაში განლაგებული ნორჩთა ქალაქი „ცისკარი“ კვლავ აახმაურა პიონერულმა საყვირმა. პირველი ნაკადის დამსვენებლები მიიღო სსრკავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პიონერთა ბანაკმა „მზიანეთმა“. ზაფხულის განმავლობაში აქ ამ გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა 800-ზე მეტი ბავშვი დაისვენებს. ბანაკის ტერიტორიას ერთი შეხედვითაც ეტყობა მზრუნველი ხელი. ეს დიდი დამსახურებაა ბანაკის დირექტორ ციური ეუეუნაშვილისა, რომელიც „მზიანეთს“ დაარსებიდან, უკვე რვა წელია ხელმძღვანელობს.

ბანაკის ცხოვრებაში რომ ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ადგილი უკავია, ამაში უმალვე დავრწმუნდით — კომპლექსური სპორტული მოედანი ბავშვებით იყო სავსე.

— სულ მალე, — გვითხრა ქალბატონმა ციურომ, — დავიწყებთ სამბანაკო სპარტაკიადას სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამ შეჯიბრებებზე შევარჩევთ ნაკრებ გუნდებს „ცისკრის“ სპარტაკიადისათვის. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ლაშქრობები ცხვარიჭამიის მიდამოებში, ექსკურსია მცხეთაში. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად ვეწვიეთ საგურამოს. გვინდა ბავშვებს აქ გატარებული დღეები დიდხანს ახსოვდეთ.

სურათებზე, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ბანაკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრებაა ასახული.



ნახტომი 21-ე საუკუნეში

საგოთა მძლეოსანმა იგორ პაკლინმა სიმაღლეზე ხტომაში 241 სანტიმეტრი რომ დასძლია (1985 წელს), სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა ამ მართლაცდა ფენომენალურ მიღწევას 21-ე საუკუნის რეკორდი უწოდეს. მაგრამ ცხადი იყო, რომ სიმაღლეზე მხტომელები „არ მოისვენებდნენ“. უახლოესი ორი წლის მანძილზე რეკორდის გაუმჯობესება სხვადასხვა ქვეყანაში ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ხან იმის გამო, რომ ამინდი არ იყო ხელსაყრელი, ხან კი იმიტომ, რომ უკანასკნელ მომენტში სპორტსმენი უმნიშვნელო შეცდომას უშვებდა, პაკლინის რეკორდი ორი წლის მანძილზე ურყეად იდგა.

30 ივნისს გვიან საღამოთი სტოკჰოლმის ოლიმპიურ სტადიონზე ბოლოს და ბოლოს მოხდა მოსახდენი. ამ დღეს სახტომ სექტორში (საერთაშორისო შეჯიბრება „გრან-პრის“ პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა) რამდენიმე ექსტრა-კლასის მხტომელი იდგა: ჩეხოსლოვაკიელი იან ზვარა, ამერიკელი ჯერომ კარტერი, კარლო ტრეინჰარდტი (გფრ) და ამ დღის მთავარი გმირი, 22 წლის შვედი მძლეოსანი პატრიკ შებერგი.

ტრეინჰარდტმა შეჯიბრება სხვა ფავორიტებზე ადრე დაამთავრა საკმაოდ უფერული შედეგით — 224 სმ. ზვარა და კარტერი მხოლოდ 228 სანტიმეტრზე გადახტნენ. დარჩა შებერგი საკუთარ თავთან მარტოდ მარტო, მაგრამ ამ დღეს მას ყველაფერი გამოსდიოდა.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ შვედ მძლეოსანს მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება პირველსავე ნახტომებში შეეძლო, მაგრამ მიზანს მხოლოდ მესამე ცდაზე მიაღწია, როცა მსუბუქად და ელეგანტურად გადაევლო 242 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასას.

20 ათასამდე მაყურებელმა მჭუხარე ოვაცია გაუმართა ახალ მსოფლიო რეკორდსმენს და მის მწვრთნელს ვილ ნაუსიკაინენს. აქვე სტადიონზე შედგა სახელდახელო პრესკონფერენცია, რომელზეც მწვრთნელმა განაცხადა: „სარეკორდო ნახტომი ტექნიკის თვალსაზრისით უნაკლო იყო“. ბედნიერმა სპორტსმენმა კი ჟურნალისტებს განუმარტა: „დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ რეკორდს ან დღეს დავამყარებდი, ან ვერასოდეს“.

რამდენიმე სიტყვა ახალ რეკორდსმენზე: დაიბადა გიოტებურგში 1965 წლის იანვარში. სიმაღლე — 199 სმ, წონა 83 კგ. პირველი პირადი რეკორდი დაამყარა 10 წლისამ — 130 სმ. ეს მოხდა 1975 წელს. 5 წლის შემდეგ კი 207 სმ. დაძლია. შებერგს გადაწყვეტილი აქვს წლეულს სიგრძეზე ხტომაშიც სცადოს ძალა. მისი აზრით უახლოეს მომავალში სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდი 245 სანტიმეტრს მიაღწევს. სხვათა შორის, ასე ფიქრობს მისი მეგობარი და მეტოქე კარლო ტრეინჰარდტიც.



მხოლოდ მოპავლის იმედით?

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა დასვენებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა იყო და არის მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი. ამ საქმეში წამყვანი როლი, ცხადია, კულტურისა და დასვენების პარკებს ეკისრებათ. მათი მუშაობის გარდაქმნისა და შემდგომი დახვეწის აუცილებლობაზე ხაზგასმით ითქვა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე.

გურჯაანის კულტურისა და დასვენების პარკში ბოლო ხანს ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. დაიდგა ოთხი რთული მექანიზებული ატრაქციონი, გარემონტდა საზაფხულო კინოთეატრი, კაფე, კეთილმოეწყო ბაღის ტერიტორია — მოშანდაკდა ბილიკები, დაიდგა 50 ახალი სკამი, დამონტაჟდა რადიოკვანძი, შეიცვალა განათების ქსელი და ა. შ. ყველაფერი ეს რაიონმა საკუთარი ძალებით გააკეთა და პარკი დავალიანების გარეშე შეუდგა მუშაობას სამეურნეო ანგარიშზე.

სადღესასწაულო და დასვენების დღეებში გურჯაანის პარკში სისტემატურად იმართება კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. აქ ხშირად მასპინძლობენ რაიონულ შეჯიბრებებს ჭიდაობაში, ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. პარკის მუშაობით კმაყოფილნი არიან როგორც ადგილობრივნი, ისე კურორტ „ახტალას“ დამსვენებლები და ქალაქის სტუმრები. ამაში გვარწმუნებს ის, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით გურჯაანის პარკი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს და კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების საკავშირო საბჭოს ფულადი პრემიითა და II ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს. დაისვა საკითხი პარკისთვის უფრო მაღალი კატეგორიის მინიჭების შესახებ.

თითქმის ყველაფერი რიგზეა, მაგრამ პარკის ყოველდღიურობაში ჩახედვამ დაგვანახა, რომ პარკის ხელმძღვანელობას ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. **პარკის ტერიტორიაზე არ არის არც ერთი სპორტული მოედანი, სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტი, არა ჰყავთ ფიზკულტურის მეთოდისტი, მის მოვალეობას (სპორტული ღონისძიებების დროს) დირექტორი ასრულებს. არადა, პარკს აღმოსავლეთით აკრავს ერთ ჰექტარზე მეტი აუთვისებელი ადგილი.** როგორც დირექტორმა ნოდარ უტიაშვილმა გვითხრა, აქ აშენდება სპორტული კომპლექსი, რომლის საექსპლოატაციოდ ჩაბარება გეგმით 1990 წლისთვისაა ნავარაუდევი.

პარკში მისასვლელად ყველაზე მოხერხებული საშუალებაა საბაგირო გზა, მაგრამ იგი ორ წელზე მეტია არ მუშაობს. მიზეზი ის გახლავთ, რომ შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტი არ იძლევა საგარანტიო ფურცელს. კომიტეტის პოზიცია გაუგებარია: მის მიერ გამოყოფილმა ტექნიკურმა კომისიამ უვარგისად სცნო საბაგირო ხაზი და მისი მთლიანად შეცვლა მოითხოვა, რაც 500 ათას მანეთამდე ჯდება. არადა, არსებობს საბუთი, რომლის თანახმად საამედოა საბაგიროს ორივე (ზედა და ქვედა) სადგურის ფუნდამენტი, ვაგონები. საჭიროა ტექნიკურმა კომისიამ გადასინჯოს თავისი დასკვნა.

ალექსანდრე პაპოშვილი,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ასე ვერ ვიარეთ“

მაისის შუა რიცხვებში რესპუბლიკის სპორტსახკომის სპეციალურმა კომისიამ სახელმწიფო მიღების პროგრამით შეამოწმა თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სკოლის მშვილდოსნობის ჯგუფები. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ამ სკოლას ოთხი სპორტსმენი სხვა სკოლისგან „ესესხებინა“. ეს სიყალბე მხილებული იყო „ლელოს“ 14 მაისის ნომერში დაბეჭდილ რეპლიკაში სათაურით „ასე წინ ვერ წავალთ“.

ახლახან თბილისის სპორტკომიტეტიდან გვაცნობეს: „1987 წლის 18 ივნისს თბილისის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ იმსჯელა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის მუშაკების მიერ ჩადენილ სიყალბეზე. სპორტსკოლის დირექტორს ე. ფარჯანაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. იგი გააფრთხილეს, რომ თუ უმოკლეს ვადაში არ მიიღებს ზომებს სკოლის მუშაობის გარდასაქმნელად, მის მიმართ მიღებული იქნება ადმინისტრაციული სასჯელის უმკაცრესი ზომები.

სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. მალეცი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სკოლის მეთოდისტის ლ. მედკოვას საკითხი განსახილველად გადაეცა სპორტსკოლის ხელმძღვანელობას.

მშვილდოსნობის განყოფილების უფროს მწვრთნელს ვ. ლეკვეიშვილს და მწვრთნელს ვ. ტროპინს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

საყვედური გამოეცხადა აგრეთვე თბილისის სპორტკომიტეტის უფროს ინსტრუქტორს ე. ზაზაძეს და თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ზ. კიკნაველიძეს.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სპორტსკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად, კადრების გადახალისებისა და დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად.

ლ. თედიაშვილი,
თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.



პოსეიდონი მზეს „იმორჩილებს“

ზღვებისა [illegible] ოკეანეების მბრძანებლობისა [illegible] მოგახსენოთ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის საცურაო აუზებში რომ მის სასტვენს მართლაც მაგიური ძალა ჰქონდა, ეს უდავოა.

მისი სახელი კარგადაა ცნობილი წყალბურთის მოყვარულთათვის. ბევრ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე უმსაჯია. ცნობილი ქართველი არბიტრი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ზურაბ ჩაჩავა** მეტად ავტორიტეტულ სპეციალისტად ითვლება. მაგრამ ჯერ უშუალოდ ამ თამაშით გატაცება იყო.

● **როგორც მწერალმა თქვა, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.**

—დიახ, სხვათა შორის, ბავშვობაში წყლის შიში მქონდა. არის ასეთი ავადმყოფობა. მიუხედავად იმისა, რომ ის წლები ზღვის პირას, ბათუმში გავატარე, წყალს ახლოს არ გავკარებივარ. ბარცხანაში ზღვის სიღრმე ნაპირთან ნახევარი მეტრია. ისე რომ, წყალზე საშიში თუ რამე იყო ამ ქვეყანაზე, არ მეგონა.

შემდეგ ჩვენი ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, ყამოს ქუჩაზე დავსახლდით. მტკვრის მეორე ნაპირზე იყო საცურაო აუზი. იქ ჩემი უფროსი ძმა როსტომი, გიორგი ხარებოვი, ვლადიმერ ბარნაბიშვილი და თვით კაკო მშვენიერაძე დადიოდნენ. ისინი ლუკა იოკიმიდის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ცურვას. ჩემი გატაცება კი სულ სხვა იყო — უბნის ბიჭებთან ერთად გორკის კლუბისა და „მუშტაიდის“ საცეკვაო მოედნის მუდმივი სტუმარი ვიყავი.

ძმა მიხვდა, ცეკვა ჩემში მოწოდება რომ არ იყო და ძალით წამიყვანა აუზში. ბატონმა ლუკამ, რომ გაიგო ცურვა არ იცისო, იოლად იპოვა გამოსავალი — ფიცარი შემაჩეჩა და წყალში ჩადიო, მიბრძანა.

თქვენ წარმოიდგინეთ, მომეწონა, რომ არ ჩავიძირე და უფრო ენერგიულად ავამუშავე ფეხები. როგორც იყო გავცურე ათი მეტრი. ასე დაიწყო „კარიერა“ მომავალმა ბრასისტმა, რომელმაც 1943 წელს 100 და 200 მეტრზე ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი გაუუმჯობესა.

● **წყალბურთში როგორღა აღმოჩნდით?**

— ...მეხსიერებას კინოკადრივით შემორჩა აუზთან ნანახი სცენა. ბორანზე (ამ ადგილას მტკვარზე ბორანი გადიოდა) ჯარისკაცის ფარაჯებში გამოწყობილი ჩვენი ბიჭები, ჩვენი პირველი წყალბურთელები ვანო ბარნაბიშვილი, ირაკლი ქავთარაძე, კოტე რიჟინაშვილი, რევაზ გუგუშვილი ნაპირზე მდგარ მწვრთნელს ემშვიდობებოდნენ. ისინი ფრონტზე მიდიოდნენ.

იდგა 1943. ნაპირზე დავრჩით ჩვენ, აუზი და ლუკა. ლუკამ, რომელიც ფრონტზე წასულთა მეკარე იყო, გუნდში ახალბედებს იცავდნენ კაკო მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია, გიორგი ხარებოვი, რევაზ გუგუშვილი, ბათუმელი პეტრე ბრეუსი. ქართველთა ამ მოსკოვურმა გუნდმა ბევრჯერ ისახელა თავი საკავშირო ჩემპიონატებში, საპრიზო ადგილზეც ბევრჯერ გავდა. 1956 წელს ნოდარ გვახარიასთან ერთად თბილისში დავბრუნდი. იმავე წელს, სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე პრიზიორები გავხდით.

● **როგორია თქვენი კრედო მსაჯისა?**

— სპორტი თავისი არსით ტყუილს ვერ იტანს. ასპარეზობის ყველაზე დიდი ხიბლი სიუჟეტის, ასე ვთქვათ, გამოუცნობლობაშია. სწორედ ეს გვიზიდავს ანდამატივით და გვაღელვებს. ამიტომ ნებისმიერი არასპორტული საქციელი ყველას გულისწყრომას იწვევს, რადგან მეტოქესთან ერთად ტყუვდება მაყურებელიც. აკრძალული ილეთის გამოყენება და უხეშობა სარბიელზე გამოსულთ არ ეკადრებათ.

ჯერ კიდევ, როცა თვითონ ვთამაშობდი, ძალიან განვიცდიდი ტენდენციურ და არაკვალიფიციურ მსჯობას, რის გამოც ხშირად ვიჩაგრებოდით. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტე მსაჯი გავმხდარიყავი, რათა სარბიელზე ჯამოსული სპორტსმენებისთვის მეგრძნობინებინა, რომ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი სასტვენიანი კაცი, რომელიც ასე მკაცრად რეაგირებს ყოველ დარღვევაზე, შინაგანად ძალზე გულთბილად და კეთილად არის მათდამი განწყობილი.

თუმცა დღესაც არიან უსამართლო მსაჯები. მათ ავიწყდებათ, რომ ისინი პედაგოგებიც არიან და სპორტსმენთა აღზრდას ემსახურებიან.

● **თქვენი მსაჯობის პრაქტიკიდან რომელიმე ღირსშესანიშნავ ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით?**

— 1969 წელს ჰოლანდიაში ვაჟთა ტურნირზე მიმიწვიეს მსაჯად: ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა მთხოვეს წყალბურთელ ქალთა მატჩი იმსჯეთო. უყოყმანოდ დავთანხმდი. გამოგიტყდებით, ქალთა თამაშის არბიტრობა სერიოზულ საქმედ არ მივიჩნიე და ამისთვის დავისაჯე კიდეც.

ერთხელ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, რომ ნებისმიერი მატჩისათვის საგანგებო მომზადებაა საჭირო — მოთამაშეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა იმსაჯო.

● **მსაჯობის გარდა რა გაკავშირებთ წყალბურთთან?**

— ამას წინათ სათავეში ჩავუდექი ქალთა გუნდს. ქალთა წყალბურთი კარგა ხანია სპორტის სახეობად აღიარა საერთაშორისო ფედერაციამ.

სამი წლის წინათ ვლადიმერ გოიაშვილის მიერ შექმნილმა თბილისის „ბურევესტნიკმა“ სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. მალეცი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სკოლის მეთოდისტის ლ. მედკოვას საკითხი განსახილველად გადაეცა სპორტსკოლის ხელმძღვანელობას.

მშვილდოსნობის განყოფილების უფროს მწვრთნელს ვ. ლეკვეიშვილს და მწვრთნელს ვ. ტროპინს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

საყვედური გამოეცხადა აგრეთვე თბილისის სპორტკომიტეტის უფროს ინსტრუქტორს ე. ზაზაძეს და თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ზ. კიკნაველიძეს.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სპორტსკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად, კადრების გადახალისებისა და დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად.

ლ. თედიაშვილი,
თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

● **თქვენი პროფესიის შესახებ თქვით ორიოდე სიტყვა. გარდა იმისა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის იღვწით, დიდ სამსახურს უწევთ სპორტსაც. მაგალითად, ამას წინათ წყნეთის სპორტულ კომპლექსში დაამონტაჟეთ დანადგარი, რომლის საშუალებითაც სტადიონის საშხაპე მზის სხივებით გამთბარი წყლით მარაგდება.**

— „ტბილზნიეპმა“, რომლის სამეცნიერო განყოფილებაში ჰელიოტექნიკის ლაბორატორიას ვხელმძღვანელობ, 8 წლის წინათ დაიწყო მზის ენერგიის გამოყენება თბომომარაგებაში. ეს სამუშაო ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებაში კარგა ხანია მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ დავიჩქარეთ მზის ენერგიის აქტიური გამოყენება.

ახლახან კავშირში პირველებმა შევქმენით დაპროექტების ახალი ნორმები. ვმუშაობთ აგრეთვე მზის ენერგიის გამოყენების სხვა საშუალებებზე.

● **ხელი მოგემართოთ!**

ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.

ბეისბოლი. მე-4 გაკვეთილი

ბეისბოლის არითმეტიკა

ხომ არ დაგავიწყდათ? ჩვენ ბეისბოლს ვთამაშობთ!

შეხვედრის დაწყებამდე ორივე გუნდი მთავარ მსაჯს წარუდგენს სასტარტო შემადგენლობას. შემდეგ მინდვრის მასპინძლების გუნდი მინდორზე თავდაცვით პოზიციას იკავებს, ხოლო სტუმრებს თავდასხმის უფლება ეძლევათ. ასეთია ბეისბოლის ჯენტლმენური კანონი.

როგორც თავიდანვე შევთანხმდით, ჩვენი მკითხველების ნაკრები მინდორზე გამოდის. ჩვენი პირველი დავდასხმის მოთამაშე ტაფელას იღებს ხელში; მსაჯი შესძახებს: „თამაში“! (ინგლისურად). შემდეგ კი...

ახლა დეტალურად აგიწერთ, რა ხდება შემდეგ. თავდამსხმელი (მომგერიებელი) დგება მინდორზე საგანგებოდ შემოხაზულ ადგილზე (დამჭერთან) ქეჩერთან ახლოს. ის, ვინც მარჯვენა ხელით თამაშობს, ქეჩერისაგან მარცხნივ დგება, ცაცია — მარჯვნივ. წუთის შემდეგ მისი სხეულის პარალელურად უნდა ჩაიქროლოს ბურთმა, რომელსაც გუნდის № 1 მოთამაშე (პიჩერი ანუ მტყორცნელი) ესვრის № 2 მოთამაშეს (ქეჩერს ანუ დამჭერს). „დარტყმის ზონა“ (სთრაიკი) — ეს არის შემოუზღუდავი სივრცე, რომელიც ბურთმა არ უნდა დაარღვიოს. მხოლოდ მსაჯს — თვალთ! — შეუძლია განსაზღვროს, ჩაიქროლა თუ არა ბურთმა სწორედ ძირითადი ბაზის („სახლის“) წინ, ბუთერის (მომგერიებლის) სხეულის პარალელურად, მხრებსა და მუხლებს შორის. თუ ბურთმა სწორედ ეს ტრაექტორია მოხაზა, იგი „სწორ ბურთად ითვლება“. ეს ეგრეთ წოდებული „სთრაიკია“. თუ მომგერიებელმა სამი სთრაიკი ვერ მოიგერია, მას მოედნიდან გააძევებენ (აუტი).

ახლა მინდორზე გამოდის შემდეგი თავდამსხმელი. სამი აუტის შემდეგ გუნდები ადგილებს ცვლიან. ჩვენ თავდასხმიდან თავდაცვაში გადავდივართ — ერთი ციკლი თავდაცვაში და ერთი თავდასხმაში — ეს ინინგია (ტაიმი). 9 ინინგი — ეს თამაშია!

ასეთია ბეისბოლის არითმეტიკა.

მაგრამ აი, მსაჯმა „სთრაიკი“ არ ჩათვალა. მისი აზრით, ბურთმა ან ცოტა ქვევით, ან ცოტა მაღლა ჩაუქროლა „დარტყმის ზონას“, შეიძლება ისე ახლოს ჩაუარა, რომ თავდამსხმელის ტანსაცმელსაც შეეხო, ან, პირიქით, ძალიან შორს... ერთი სიტყვით, ეს „არასწორი ბურთია“. ეს არის „ბოლი“ — პიჩერის (მტყორცნელის) შეცდომა. პიჩერს შეცდომების „რეზერვი“ მეტი აქვს. იგი მხოლოდ მეოთხე „ბოლის“ შემდეგ ისჯება. თავდამსხმელს (მომგერიებელს) უფლება ეძლევა დაუბრკოლებლად დაიკავოს პირველი ბაზა. ბეისბოლში ამას „გასეირნება“ ჰქვია, რადგან თავდამსხმელი არ იკლებს სიამოვნებას, რომ გზა პირველ მიზნამდე „სეირნობით გაიაროს“. ამ ფრონს არავის არა აქვს უფლება მას ხელი შეუშალოს. პიჩერისათვის (მტყორცნელისათვის), ისევე როგორც თავდაცვის მთელი გუნდისათვის, ეს სხვა არაფერია, თუ არა პენალტი.

პეპი გოგორიშვილი.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 84, 89, 114.

სსრ კავშირის პირველობა

50

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის ხელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის.

თამაში დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 2:1.

• • •

მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები ცსკა და „სპარტაკი“. მატჩის შედეგია 2:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

ზომებს მიმართეს

საკავშირო პრესაში ბოლო ხანებში პრინციპული შეფასება მისცეს ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, დაუფარავად ამხილეს ის არბიტრები, რომელთა უხეშმა შეცდომებმა გავლენა მოახდინა ზოგიერთი მატჩის შედეგზე.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა პრესის ეს კრიტიკა დროულად და საქმიანად მიიჩნია, შესაბამისი ღონისძიებებიც დასახა ჩვენს ფეხბურთში მსაჯობის გასაუმჯობესებლად.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ყურადღება გაამახვილა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის არასაკმარის პრინციპულობაზე, მიუთითა, რომ საჭიროა კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერება, უნდა განახლდეს და გაახალგაზრდავდეს მსაჯთა კადრები. მკაცრად გაიფრთხილეს ცნობილი არბიტრები მ. სტუპარი, გ. გალიკოვი, ვ. მამინოშვილი, ვ. აბგოლცი და სხვანი, სასჯელები გამოუტანეს იმ მსაჯებს, რომელთა უხეშმა შეცდომებმა გავლენა მოახდინა ჩატარებული მატჩების შედეგებზე.

უმაღლესი და პირველი ლიგების შეხვედრათა ჩასატარებლად ბოლო ხანებში დაწინაურდა ახალგაზრდა მსაჯთა მთელი ჯგუფი. არბიტრთა სია, რომლებიც უმაღლესი ლიგის გუნდების უახლოეს შეხვედრებს იმსაჯებენ, ახლა სპორტულ პრესაში წინასწარ ქვეყნდება.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი არ დაეთანხმა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრაქტიკას იმის თაობაზე, რომ არბიტრთა დაწინაურება უნდა მოხდეს მხოლოდ ასაკის შესაბამისად. ასეთი პრაქტიკა ამუხრუჭებს ჩვენში მსაჯთა კადრების ზრდას. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდების მისანიჭებლად, როგორც წესი, წარვადგენთ, როცა ისინი 45-50 წლისანი არიან, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში კი ეს ხდება გაცილებით უფრო ადრე, 30-32 წლის ასაკში.

არბიტრებს წინადადება მიეცათ მნიშვნელოვნად აამაღლონ თავიანთი ფიზიკური მომზადება, რათა არ ჩამორჩნენ მინდორზე თამაშის დროს მომხდარ მოვლენებს და სწორი გადაწყვეტილება მიიღონ სათამაშო სიტუაციათა სწრაფი მონაცვლეობის შემთხვევებში.

დაინიშნა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის კომისიების რამდენიმე ახალი თავმჯდომარე, გადაისინჯა ინსპექტორ-მსაჯთა სიები. თუ უწინ ინსპექტორთა შორის 80 პროცენტი ყოფილი არბიტრი ინიშნებოდა და მხოლოდ 20 პროცენტი — ფეხბურთის სპეციალისტი და აქტივისტი, ამიერიდან პროცენტული მაჩვენებელი გათანაბრდება 50-50-ზე. კატეგორიულად აიკრძალა მატჩებზე ინსპექტორის დანიშვნა, თუ კი იგი მსაჯთან ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფება.

ყოველი რესპუბლიკის მსაჯთა კომიტეტებს წინადადება მიეცათ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმში გააგზავნონ თავიანთი მოსაზრებანი მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ, ყველა წამოყენებულ კანდიდატს სიაში შეიტანენ კენჭის საყრელად, მოეწყობა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევნები. გარდა ამისა, პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევნები მოხდება უშუალოდ არბიტრთა საერთო სხდომაზე და არა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის სხდომაზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

დასახულია სხვა აქტუალური ღონისძიებანიც, რაც მიმართულია ჩვენს ფეხბურთში მსაჯობის გაუმჯობესებისკენ. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი შემდგომშიც გადამჭრელ ზომებს მიმართავს მათ მიმართ, ვინც არად აგდებს მსაჯის მაღალ რეპუტაციას და არ იბრძვის ჩვენს ფეხბურთში სრული წესრიგის დასამყარებლად.

„პორტუს“ გასაჭირი

პორტუგალიის საფეხბურთო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ ზეიმობს „პორტუს“ დიდ წარმატებას, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა და „პორტუს“ გულშემატკივრები... უკვე შეშფოთებულნი არიან.

პორტუგალიური გაზეთები იუწყებიან, რომ „პორტუს“ წამყვან ფეხბურთელს პაულუ ფუტრეს მეტად ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა ცნობილმა კლუბმა მადრიდის „ატლეტიკომ“. ესპანელები პ. ფუტრეს ფულის გარდა პირდებიან ვილას და სპორტულ ავტომანქანას. ასეთივე მაცდუნებელ პირობებს სთავაზობენ „პორტუში“ მოთამაშე ალეირელ რ. მაჯერს და ბრაზილიელ ფ. ჟუარის, რომლებმაც გამარჯვების გოლები გაიტანეს მიუნხენის „ბაიერნთან“ ფინალურ მატჩში.

ლისაბონელ მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ სამივე ფეხბურთელი დატოვებს „პორტუს“, მაგრამ ახლა ისიც ცნობილი გახდა, რომ პარიზის „რასინგში“ გადასვლას დაყაბულდა „პორტუს“ უფროსი მწვრთნელი არტურ ჟორჟიც.



კოპას აზრით

რაიმონ კოპა (კოპაჩევსკი) — 50-60-იან წლების ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავი, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი, ახლა 56 წლისაა. იგი პატარა ქალაქ ტრეგუას სპორტული ტანსაცმლის გამსაღებელ საზოგადოებას ხელმძღვანელობს.

ევროპის საკლუბო ტურნირების დამთავრების შემდეგ მას შეხვდა გაზეთ „იუმანიტეს“ კორესპონდენტი და ჩამოართვა ინტერვიუ, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

● **ოცი წლის წინათ გაწყვიტეთ ფეხბურთთან კავშირი, რატომ?**

— ფეხბურთი შთაგონების წყაროა, აღმაფრენაა. როდესაც ვთამაშობდი, მეგონა, რომ რომელიმე გუნდის მწვრთნელობას შეეძლებდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს სარისკო საქმე იყო. გავიდა დრო და თანდათან გაძნელდა თანამედროვე ფეხბურთისთვის ფეხის შეწყობა.

● **რაც შეეხება ევროპის საკლუბო ტურნირებს, აქ დიდი გამოცდილება გაქვთ. საინტერესოა, რით ახსნით საფრანგეთის გუნდების წარუმატებლობას?**

— ვიტყვი, რომ სხვაობას ვხედავ ევროპის თასსა ტურნირების დონეებს შორის. ჭეშმარიტად მაღალ დონეზე მხოლოდ ჩემპიონთა თასის გათამაშება ტარდება. ჩემი აზრით, საფრანგეთის გუნდების თამაშზე უარყოფითად მოქმედებს ორი ძირითადი ფაქტორი: მოთამაშეებს არ სწამთ საკუთარი ძალების და ამიტომ, როცა საჭიროა, რისკზე ვერ მიდიან.

● **მიუხედავად ამისა, „ბორდოს“ შეეძლო თასების მფლობელთა თასის მოპოვება...**

— დიახ, წელს „ბორდოს“ შეეძლო გამარჯვება, იღბალი რომ ჰქონოდა, განსაკუთრებით ლაიფციგის „ლოკომოტივთან“, რომელთანაც ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მოსკოვის „ტორპედოსთან“ თბილისში ჩატარებულ გაწმერრებით მატჩში ჩვენმა გუნდმა კარგად ისაუბრა ასეთი მომენტებით. დიახ, „ბორდოს“ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ალენ ჟირესის წასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გუნდში აღარ არის წამყვანი მოთამაშე.

● **უძლიერესებად ევროპის რომელ კლუბებს დაასახელებთ?**

— ევროპის თასები ღირსეულებმა მოიპოვეს. დროებით იზოლირებული არიან ინგლისის ძლიერი გუნდები, მაგრამ საუკეთესოდ ვთვლი კიევის „დინამოს“, მომწონს „ბაიერნისა“ და „აიაქსის“ თამაში.

თარგმნა
ბეჟან თათიშვილმა.

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები, გთავაზობთ მათს ტექნიკურ მონაცემებს:



საქართველოს პირველობა

I ჯგუფი

„არმაზი“ (მცხეთა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ზუკაკიშვილი, ხუციურაული, იორამაშვილი („არმაზი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:3. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: სვანაძე, ონიანი, ჭ. იობიძე („შადრევანი“), კიკნაველიძე („მეტალურგი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზესტაფონელი ფეხბურთელი დ. დადუნაშვილი, ხოლო წყალტუბოელი ვ. მუშკუდიანი — სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ბართია („სალხინო“), ხამაშურიძე, თოფურიძე („მერცხალი“).

„სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: პაიკიძე, ორმოცაძე, კანთელაძე, დვალიშვილი („სულორი“), ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი („სპარტაკი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: ლობჟანიძე („დურუჯი“), დოლიძე („მადნეული“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: მებუკე, სვიმონიშვილი, მანუჩაროვი-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

„დინამო“ (გაგრა) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).

„კახეთი“ (თელავი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ამისულაშვილი, აბდულაევი („კახეთი“).

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გაიფრთხილეს თელაველი ზ. ჯაშიაშვილი.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სჭური“ (წალენჯიხა) 4:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი). გოლები: თუთბერიძე, ტიბუა-3 („დინამო“), ჩიკანიოვი („სჭური“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).

II ჯგუფი

I ქვეჯგუფი. „ბახტრიონი“ (ახმეტა) — სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 2:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 1:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. „შირაქი“ (წითელი წყარო) — სპ-„დინამო“-3 (თბილისი) 2:4, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხი) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 2:0, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0:1.

II ქვეჯგუფი. „არაგვი“ (დუშეთი) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 3:2, „ფარვანი“ (ბოგდანოვკა) — „ავტომობილისტი“ (გორი) 1:3, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „განთიადი“ (დმანისი) 5:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:3, „მეფრინველე“ (ასპი) — „მეხეთი“ (ახალციხე) 1:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მარაბდა“ (კოდა) 1:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „ბაგიათი“ (ჯავა) 3:1.

III ქვეჯგუფი. „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 2:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 1:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „მამისული“ (ონი) 2:1, „ნაწილი“ (აბაშა) — „სარმე“ (ნაოკოლევი) 1:0, „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „ორპირი“ (ტყიბული) 1:1, „ციხისძირი“ (ქუთაისი) — „ხიდი“ (ზესტაფონი) 0:1, „ბორბალო“ (ბაღდათი) — „ბეჭედი“ (ცაგერი) 1:2.

IV ქვეჯგუფი. „განთიადი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 0:2, „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 3:0, „განთიადი“ (გაგრა) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:1, „დინამო“-2 (ბათუმი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:3, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1, „მზიური“ (გალი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) — 1:0, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „ოდში“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:0.

ბათუმის „ავტომობილისტმა“ წინა ტურში შინ ანგარიშით 0:2 წააგო ლანჩხუთის „ჩიბათთან“.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამეგრელო“	20	11	8	1	34-13	30
„კოლხეთი“	20	13	3	4	33-16	29
„შადრევანი“	20	13	3	4	32-16	29
„მერცხალი“	20	11	7	2	27-14	29
„სულორი“	20	10	6	4	23-18	26
„სჭური“	20	10	5	5	34-20	25
ფიზკ. ინს.	20	10	5	5	33-19	25
„ამირანი“	20	10	3	7	25-25	23
„სალხინო“	20	7	8	5	25-26	22
„დინამო“ გ.	20	6	9	5	21-22	21
„მეტალურ.“	20	8	3	9	25-24	19
„დინამო“ ზ.	19	7	5	7	25-19	19
„სპარტაკი“	20	7	5	8	30-31	19
„ეგრისი“	19	6	7	6	25-24	19
„საპოვნელა“	19	7	4	8	21-30	18
„იმ.-დინ.“-2	15	6	5	4	25-19	17
„მადნეული“	19	5	7	7	26-21	17
„კახეთი“	19	6	3	10	30-33	15
„ქართლი“	20	6	3	11	25-29	15
„იმერეთი“	20	5	4	11	24-42	14
„დურუჯი“	20	3	7	10	14-26	13
„არმაზი“	20	4	4	12	18-34	12
„ივერია“	20	2	4	14	12-32	8
ახ. ააფ. სკ.	20	3	0	17	16-48	6

SOS

ხულიგანი მწვრთნელი

28 ივნისს მცხეთაში შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „არმაზმა“ მიიღო ქუთაისის „იმერეთი“.

მატჩს ემსახურებოდა თბილისელ მსაჯთა ბრიგადა. არბიტრი იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი), მას ეხმარებოდნენ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი) და პირველი კატეგორიის მსაჯი მ. სარიშვილი (მახარაძე). მატჩს ინსპექტორობდა საკავშირო კატეგორიის სპპატიო მსაჯი ფეხბურთში ოტია ყორდანია.

თამაში ჩატარდა მცხეთელ ფეხბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათი გამარჯვებით — 3:0.

ყველაფერი ეს მატჩის ტექნიკური მხარეა, მაგრამ ამ დღეს მცხეთის სტადიონზე მოხდა ყოვლად დაუშვებელი, მიუტევებელი ხულიგნობა და რომ ჩვენს მკითხველს, რესპუბლიკის მთელ საფეხბურთო საზოგადოებრიობას ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ ჯერ კიდევ რა დარღვევები ხდება ჩვენს ფეხბურთში, სიტყვას ვაძლევთ მატჩის ინსპექტორს, ჩვენს ცნობილ ვეტერანსა და გამოცდილ მსაჯს ო. ყორდანიას.

ამონაწერი ინსპექტორის მოხსენებითი ბარათიდან:

„მსაჯთა ბრიგადამ (ე. სილაგავა, თ. ლორთქიფანიძე, მ. სარიშვილი) თამაში ჩაატარა კვალიფიციურად, რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი შეცდომა მათ არ მოსვლიათ, ამიტომ სამივე მსაჯმა დაიმსახურა ფრიადი შეფასება.

მატჩი მოიგო მცხეთის „არმაზმა“ — 3:0. თამაშის შემდეგ „იმერეთის“ მწვრთნელი, უფრო სწორად, ვაი-მწვრთნელი გ. აბზიანიძე სათამაშო მინდვრის გარედან ქუჩური სიტყვებით, უწმაწურად, ხმამაღლა აგინებდა თავის ფეხბურთელებს და ამას ისე დაუფარავად და მოურიდებლად აკეთებდა, რომ მაყურებელთა ერთსულოვანი გულისწყრომა დაიმსახურა.

მაგრამ ვაი-მწვრთნელის ხულიგნური გამოხდომა ამით არ დამთავრებულა. გ. აბზიანიძე შემოიჭრა მსაჯთა ოთახში და ნაცვლად იმისა, რომ მსაჯებისთვის მადლობა ეთქვა, გინებით მიმართა ე. სილაგავას: სადაც შეგხვდები იქ... და „მიმართვა“ კვლავ ქუჩური გინებით დაამთავრა.

მე, როგორც მატჩის ინსპექტორი. ჩავერიე საქმეში და გ. აბზიანიძეს არც მე დამინდო: შენნაირი ინსპექტორები რომ მოდიან. იმიტომაა კარგად საქმეო.

60 წელზე მეტია ფეხბურთს ვემსახურები, უდისციპლინო და თავხედი ფეხბურთელის მეტი რა მინახავს, ამ ტიპის მწვრთნელებიც და გუნდების სხვა ხელმძღვანელებიც შემხვედრია, მაგრამ მსგავსი რამ არ მახსოვს, ასეთ თავგასულ ადამიანს ფეხბურთის სარბიელზე არ შევხვედრივარ. ამ ამბის მომსწრე სხვა სპორტულმა მუშაკებმა მითხრეს, თქვენ ალბათ პირველად ნახეთ ამის თავგასულობა, აბზიანიძე ცნობილი ხულიგანია, მუდამ ასე იქცევა, როცა მისი გუნდი აგებს და, როგორც წესი, ამგვარად მიმართავს მსაჯებსო.

საკითხავია, ვინ მისცა გ. აბზიანიძეს და მის მსგავსთ ასეთი აღვირახსნილობის უფლება? ჩვენ ყველანი ვხედავთ რა დღეშია დღეს ქართული ფეხბურთი, რა მდგომარეობაში არიან ჩვენი უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდები, ყველანი ერთობლივი ძალისხმევით ვცდილობთ რაღაცა ვუშველოთ საქმეს, ავამაღლოთ ფეხბურთელთა ოსტატობა, აქ კი ასეთ კაზუსებთან გვაქვს საქმე. რაც უფრო მალე ჩამოვაშორებთ გ. აბზიანიძის მსგავს მიტმასნილ ელემენტებს ფეხბურთს, მით უფრო დროზე გავაჯანსაღებთ ჩვენს სპორტს.“

არ შეიძლება არ დაეთანხმო „არმაზისა“ და „იმერეთის“ მატჩის ინსპექტორის ამ სიტყვებს!

ლიდერის პირველი დამარცხება

მოსკოვი. ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში (იუგოსლავია, სუბოტიცა) პირველი მარცხი განიცადა შეჯიბრების ლიდერმა, უნგრელმა დიულა საქმამ. იუგოსლავიელმა პეტარ პოპოვიჩმა სასტიკ აიტნოტში დაამამათა მისი გვირგვინოსანი. ეს ძალზე იშვიათი შემთხვევაა დიდოსტატთა პაექრობებში.

როგორც იქნა, პირველი გამარჯვება მოიპოვა ხარკოველმა ალექსანდრე ჩერნინმა — VII ტურში მან ლევ ალბურტს (აშშ) სძლია.

კიდევ ერთი ქულა მიუმატა თავის აქტივს მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა, რომელმაც ეგვიპტელ ჰაბეტს დაუურვინა ფარხმალი.

მსოფლიოს კიდევ ერთი ექსჩემპიონის, ჩვენი უხუცესი მოჭადრაკის ვასილი სმისლოვის მძიმე შეტევებს ძლივს გადაურჩა თეთრი ფიგურებით მოთამაშე იუგოსლაველი სლავოლუბ მარანოვიჩი. პარტია ყაიმით დასრულდა.

VII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: შორტი-ქუნ — 1:0, პრასადი-სპილმანი — 0:1, კავალეკი-ერნსტი — 1:0, რიბლი-როდრიგესი— 0,5:0,5.

ოპტიმისტურად შევხედოთ საქმეს

დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა 100-უჯრედიან შაშში.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, რესპუბლიკის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს, სპორტის ოსტატ **სერგო თომაშვილს.**

● რას იტყვით შეჯიბრების მონაწილეებზე? დავიწყოთ ჰაბუკთა ტურნირით.

— აქ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 16 მონაწილიდან ალბათ 10-12 მაინც უმიზნებდა საპრიზო ადგილებს. ესენი არიან თბილისელი ზურაბ კოდუა, კახა კელდიშვილი, ვადიმ კოქემიაკინი, იანეკ ვასილკი, გიორგი დიაევი, თენგიზ უსუპოვი, თამაზ ქეთოშვილი, საგარეჯოელები კახა ნარეკლაშვილი და გელა ორკოშელი, რუსთაველი ნორჩი მოშაშე გიორგი ფანჯიკიძე. შეჯიბრებაში სამტრედიელი ჰაბუკებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ამჯერად მათ სათანადო კონკურენცია ვერ გაუწიეს ჩემს მიერ ჩამოთვლილ მოშაშეებს.

● პრიზიორებზე რას გვეტყვით?

— შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე ნათელი გახდა, რომ I ადგილს თბილისის პირველი მაისის რაიონის სპორტსკოლის აღზრდილი, 169-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე თამაზ ქეთოშვილი დაიკავებდა. მან ერთადერთმა დაუმარცხებლად განვლო ტურნირი — 15 შესაძლებლიდან 13 ქულა მოაგროვა და 2,5 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ საგარეჯოელ მერვეკლასელ გელა ორკოშელს. III ადგილი წილად ხვდა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მეოთხეკლასელ ზურაბ კოდუას, რომელმაც 10 ქულა მოაგროვა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს IV ადგილზე გასულმა რუსთაველმა 9 წლის გიორგი ფანჯიკიძემ (9,5 ქულა), თბილისელებმა — 11 წლის იანეკ ვისილიკმა (V ადგილი, 175-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასი), 87-ე საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლემ კახა კელდიშვილმა, რომელმაც 8,5 ქულით VI-VIII ადგილები, გაიყო და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

● გოგონები?...

თბილისელი ოსტატობის კანდიდატების მანანა მასპინძელაშვილის, 8 წლის დიანა ავადიას, 10 წლის მადონა შალამბერიძის და 11 წლის ზეინაბ დრაიევას გარდა შეჯიბრების ფავორიტად, სპეციალისტების აზრით, სამტრედიელი მეათეკლასელი ლიანა ღირდალაძეც იყო.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ავადია და ღირდალაძე. დიანამ მოიგო შეხვედრა და პირველი ხუთი ტურის განმავლობაში ერთპიროვნულად ლიდერობდა, თუმცა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. საბოლოოდ 11,5 ქულით I ადგილზე მადონა შალამბერიძე (თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასი) გავიდა, 10,5 ქულით მეორე იყო ლიანა ღირდალაძე.

დაძაბული გამოდგა ბრძოლა III საპრიზო ადგილისთვის. 10-10 ქულა და კოეფიციენტის მიხედვით ერთნაირი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ 36-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეს ზეინაბ დრაიევას და 139-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელ მანანა მასპინძელაშვილს. დამატებით შეხვედრაში გაიმარჯვა მასპინძელაშვილმა. V ადგილზე 8,5 ქულით ავადია გავიდა, VI — 8 ქულით სამტრედიელი შორენა გაბუნავა, VII — 7,5 ქულით თბილისელი ვერა საფაროვა. ორმა უკანასკნელმა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა. სხვა მონაწილეებს უფრო მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ.

● რამდენად პოპულარულია შაში საქართველოში?

— დასამალი რა არის და, მხოლოდ 20 მწვრთნელი გვყავს. აქედან 10 რაიონებში, მაგრამ სამტრედიისა და საგარეჯოს გარდა ყველგან არასახარბიელო მდგომარეობაა. საგარეჯოში ბავშვებთან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს შაშის დიდი ენთუზიასტი და პედაგოგი ანზორ ორკოშელი. არადა, 10-15 წლის წინათ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, კასპის წარმომადგენლები მუდამ სარიზო ადგილებზე გადიოდნენ რესპუბლიკის როგორც მოზარდთა, ისე ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატებში. ამ რეგიონების მოშაშეები რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ და მის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებებზე იცავდნენ. ამჟამად ისინი ნაკრებში ხვდებიან კი არა, რესპუბლიკის შეჯიბრებებშიც არ მონაწილეობენ.

● თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ამ სპორტის აღორძინებლად?

— აუცილებელია ქართულ ენაზე გამოვიდეს სათანადო ლიტერატურა. მართალია, წელს გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო 64-უჯრედიან შაშში „როგორ ვისწავლოთ შაშის თამაში". მისი ავტორია ჩვენი ვეტერანი მოშაშე ვლადიმერ კანდელაკი. წიგნი დაეხმარება მოშაშეებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ ენაზე სახელმძღვანელო არ გვაქვს 100-უჯრედიან შაშში. ძალიან კი გვჭირდება. სპეციალური 100-უჯრედიანი დაფების შოვნაც გვიჭირს. ჩვენს მოშაშეებს და მწვრთნელებს ჩამოაქვთ ხოლმე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, ლენინგრადიდან და შაშის მოყვარულებს ამარაგებენ, მაგრამ საქმეს ეს შველის? იქნებ რომელიმე საწარმოს ეკისრა მისი გამოშვება?

● მიწინავეთა შორის თქვენ ჩამოთვალეთ თბილისელი ნორჩი მოშაშეები...

— აგერ უკვე 3 წელია, რაც თბილისის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაში შედის შაში, რამაც შესაშნავი ბიძგი მისცა სპორტის ამ სახეობის წინსვლას ჩვენს დედაქალაქში. ამას რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და თბილისის განათლების სამმართველოს მუშაკებს უნდა ვუმადლოდეთ. ნუთუ იმას უნდა ველოდოთ, როდის შეიტანენ შაშს საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში? აგდგეთ და შაში რესპუბლიკის სპარტაკიადის პროგრამაში შევიტანოთ, რომ რაიონებში გულისყურით მოეკიდონ ამ სახეობას. მჯერა, რომ ჩვენი გოგონები ბალტიისპირეთის და ბელორუსის მოშაშეებს ტოლს არაფერში დაუდებენ. ერთი სიტყვით, ოპტიმისტურად ვუყურებ შაშის მომავალს ჩვენს რესპუბლიკაში.



ᲐᲘᲠᲢᲝᲜ ᲡᲔᲜᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, მონრეალში, ყველანაირ ტრასაზე, უნდა ჩატარებულიყო მსოფლიო ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი „ფორმულა-1"-ის ავტომობილებით რბოლაში. ტექნიკური მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა და მეხუთე ეტაპად გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების „დიდი პრიზი", რომელიც 21 ივნისს გათამაშდა დეტროიტში.

თავიდან ლიდერობდა ნაიჯელ მენსელი, მაგრამ შემდეგ იგი საბურავების გამოსაცვლელად შეჩერდა და ლიდერობა ალენ პროსტმა იგდო ხელთ. ფრანგი ავტომრბოლელი დიდად არ ცდილობდა თავისი 28-ე „დიდი პრიზის" მოპოვებას. ეტაპამდე ერთი დღით ადრე მან განაცხადა, რომ არ მოსწონს დეტროიტის უცნაური ტრასა და არც ეცდება აქ გამარჯვებას. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დასაუფლებლად მას საკმაო დრო აქვს.

საბოლოოდ ტრასაზე ლიდერის პოზიცია ხელთ იგდო აირტონ სენამ, რომელმაც ტრავმა მიიღო საწვრთნელ რბოლაში, მაგრამ მაინც გამოვიდა სტარტზე და „დიდი პრიზი" მოიპოვა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დეტროიტის ტრასა მისთვის ბედნიერია. მან აქ შარშანაც გაიმარჯვა.

მეხუთე ეტაპის შედეგები: 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა") — 9 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ვილიამსჰონდა ") — 6. 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი") — 4.

5 ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 1. აირტონ სენა — 24 ქულა; 2. ალენ პროსტი — 22; 3. ნაიჯელ მენსელი — 16.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „მაკლარენი" — 35 ქულა; 2. „ვილიამსი" — 28; 3. „ლოტუსი"—27.

მეექვსე ეტაპი გაიმართება 5 ივლისს, საფრანგეთის პოლ რიკარის ტრასაზე.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ბ. სტანკოვიჩი ევროპის ჩემპიონატის დღეებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს შეხვდა და ესაუბრა. ამ შეხვედრის დროს ბევრი საინტერესო რამ დაზუსტდა.

ამ პოპულარული თამაშის 100 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით 1991 წელი კალათბურთის წელიწადად გამოცხადდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში 21 დეკემბერი აღინიშნება როგორც კალათბურთის დღე.

გაირკვა ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების ჩატარების დეტალებიც. ასე მაგალითად, 1988 წლის 29 ივლისს ჰოლანდიაში შესარჩევი ოლიმპიური ტურნირი დაიწყება. ოთხ ჯგუფად დაყოფილი 16 გუნდი ჯერ წინასწარ შეხვედრებში იასპარეზებს, შერე კი ორ-ორი საუკეთესო გუნდი (ჯგუფებიდან) ფინალური ტურნირის სამ საგზურს გაითამაშებს. კალათბურთელთა ოლიმპიურ ასპარეზობაში ადგილები გამოყოფილი აქვთ, აგრეთვე, ამერიკას (3 ადგილი), აფრიკას (2), აზიას (1), ოკეანიას (1) და პერსონალურად — აშშ-ისა (ოლიმპიური ჩემპიონი) და სამხრეთ კორეის (ტურნირის ორგანიზატორი ქვეყანა) გუნდებს.

გაირკვა ისიც, რომ მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ჩატარდება 1992 წელს 11-22 ივლისს არგენტინაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი: 5-5 ევროპის და ამერიკის, 2-2 აფრიკისა და აზიის, 1 — ოკეანიის, აგრეთვე ჩემპიონატის მასპინძელი არგენტინის ნაკრები. შერჩევის სისტემას საბოლოოდ საერთაშორისო ფედერაციის ბუდაპეშტის კონგრესი დაადგენს.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბ. სტანკოვიჩმა აღნიშნა, რომ ამერიკიდან ჟურნალისტებისათვის სპეციალურ ბიულეტენს გამოუშვებენ, რომელშიც გამუქდება მსოფლიო კალათბურთის კარდინალური პრობლემები, მოცემული იქნება ზუსტი ცნობები ყველა მნიშვნელოვან ტურნირსა და ჩემპიონატზე.

Д. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲔᲑᲘ

1985 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტმა ნორტდამმა სასწავლებლად და სათამაშოდ მიიწვია დრაკენ პეტროვიჩი (ცნობა ამის შესახებ ჩვენს პრესაშიც დაიბეჭდა). პეტროვიჩმა წინადადება არ მიიღო იმ მოტივით, რომ „აშშ-ის სტუდენტური კალათბურთის დონეზე თამაში მისთვის საინტერესო არ არის". ცოტა ხნის შემდეგ მასთან მოლაპარაკება დაიწყო პროფესიულმა კლუბმა „ჰიუსტონ როკეტსმა". თვითონ პეტროვიჩი პროფესიონალთა გუნდში თამაშის წინააღმდეგი როდი იყო, მაგრამ მან უარი განაცხადა დასწრებოდა გუნდის საწვრთნელ შეკრებას და, მოლაპარაკება ბუნებრივია, ჩაიშალა. 1986 წელს დ. პეტროვიჩთან საერთო ენის გამონახვას შეეცადა სხვა პროფესიული გუნდი „პორტლენდ ტრეილ ბლეიზი", თუმცა სასურველ მიზანს ჯერჯერობით ვერც მან მიაღწია. გარდა ამისა, არც ისაა ცნობილი, დართავს თუ არა იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაცია ნებას პეტროვიჩს პროფესიონალებში ითამაშოს (მაშინ იგი იუგოსლავიის ნაკრებში ვეღარ გამოვა).

1986 წლის ფრანგული ჟურნალის „მაქსი-ბასკეტის" იანვრის ნომერში დაიბეჭდა პიერ როკენას სტატია, რომელშიც პეტროვიჩს ადარებდნენ სანდერსონს, სან-ეპიფანიოს, შრეშუს. შედარებამ პეტროვიჩი რატომღაც ძალზე გაანაწყენა —„ისინი ბრწყინვალე მოთამაშეები არიან, მაგრამ მე ყველა მათგანზე ძლიერი ვარ", — განაცხადა მან ერთ-ერთ თავის ინტერვიუში.

წარმატებებმა თავბრუ ხომ არ დაასვა იუგოსლავიელ კალათბურთელს? იქნებ ამიტომ ითამაშა, მან თავის შესაძლებლობებზე სუსტად საბერძნეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲜ

თბილისელ გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი პეტარ სკანსი, რომელმაც 1965 წელს თბილისში გამართულ ევროპის XIV ჩემპიონატზე ითამაშა. შემდეგ წლებში სკანსი ეკრთნიდა თავის მშობლიურ გუნდს — სპლიტის „იუგოპლასტიკას", 1979 წელს სათაურში ჩაუდგა იუგოსლავიის ნაკრებს, შემდეგ კი საშუალოდ იტალიაში გადავიდა და ხელმძღვანელობდა „სკავოლინის", რომელიც იტალიის ვიცეჩემპიონი, თასის მფლობელი და ევროპის ქვეყნების თასების თასის მფლობელი (1983) გახდა. ბოლო წლებში სკანსი ავარჯიშებდა იტალიის სხვადასხვა გუნდებს. ახალი სეზონიდან იგი სათაურში ჩაუდგება ვენეციის „ჯიოს", სადაც ორი მისი თანამემამულე — დალიპაგიჩი და რადოვანოვიჩი — თამაშობს.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ"

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 25 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 20-22 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაუშვეს 6.350.882 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (176) — 1.082 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (2.682) — 258 მანეთი.

24 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 13 ივლისიდან 13 აგვისტომდე.

• • •

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ"

26-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

(27-29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ)

1-2, 2-2, 3-2, 4-1, 5-1, 6-2, 7-1, 8-1, 9-X, 10-X, 11-1, 12-X, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი აღნიშნავს წყვილის ნომერს, მეორე — შედეგს.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. დილის დაპურვა — **8:00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტობოლში — **14.40 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.20 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **21.45 (2);** უიმბლდონის ტურნირი — **0.10 (2);**

3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. დილის დაპურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მინსკი) — **22.00 (2);** უიმბლდონის ტურნირი — **22.45 (2)** და **0.15 (1).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა — **22.00.**

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
 წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„შერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07917